LLC united water supply company of georgia

Digitally signed by LLC united water supply company of georgia
Date: 2024.01.15 18:14:38 +04'00'

UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№ 01- 011501

ქ. თბილისი **15 იანვარი, 2024 წელი**

ერთი მხრივ, შპს **„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“** წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, **ნინო ნაროზაშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“),

საიდენტიფიკაციო კოდი: 412670097
მის: ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ა.პოლიტკოვსკაიას №5 და №7
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: 220101480, LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE67LB0113123325230095
ელექტრონული ფოსტა: info@water.gov.ge

და მეორე მხრივ, **შპს ,,ეფემჯი სოფტ“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის, **დავით გოგოჭურის** სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი“),

საიდენტიფიკაციო კოდი: 404857455
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დოლიძის ქ.,№2
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE42TB7414936020100001
ტელ: +995 32 2470600
ელ.ფოსტა: q.khosroshvili@fmgsoft.ge

თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“ და ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 12 იანვრის №134 განკარგულების (SMP240000052) და შემსყიდველი კომპანიის დირექტორის მოადგილის ფინანსურ საკითხებში 2023 წლის 13 დეკემბრის № 1-162683 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში -“ხელშეკრულება”) შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - **პროგრამა „ინფო-საწარმოს“ (FMG) პროგრამული უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის** (შემდგომში - მომსახურება) შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად.

1.2 პროგრამა მოიცავს: ფინანსური, შესყიდვების, საბუღალტრო აღრიცხვის, საკადრო, ლოჯისტიკის, საწყობის, ძირითადი საშუალებების, სატრანსპორტო მოდულების (ყველა არსებული მოდული) პროგრამული უზრუნველყოფისა და სისტემის მხარდაჭერის მომსახურებას.

1.3 ამ პუნქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: **CPV-72200000** - პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებები; **CPV-72260000** - პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **58 412.41 (ორმოცდათვრამეტი ათას ოთხას თორმეტი ლარი და 41 თეთრი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.**

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს;

2.3 ხარჯები რომლებიც წინადადების ფასში არ არის გათვალისწინებული არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

3. მომსახურების გაწევის ვადა

მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განახორციელოს **ხელშეკრლების გაფორმებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2024 წლის საკუთარი სახსრები.

4.2. ხელშეკრულების მე-2 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულება მოცემულია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა სახის ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად. ამასთან, ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულების სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

4.4. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.5. ყოველ თვეში გაწეული მომსახურების ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს ელექტრონულად უნდა წარუდგინოს არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა (თუ 15 რიცხვი ემთხვევა დასვენების დღეს, დოკუმენტაციის წარდგენის ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღემდე).

4.6. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ყოველთვიურად მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან (თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.7. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება შემსყიდველის მიერ მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. მომსახურების შემოწმებას, მიღება - ჩაბარებას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებას ახორციელებს **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები.**

6. მომსახურების შესაბამისობა

6.1 მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისთვის დადგენილ სტანდარტებს და შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.2 ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოთხოვნებიდან მიმწოდებლის მიერ ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროგრამის გამართული მუშაობა და გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტებთან;

ბ) დროულად, გამართულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს შემსყიდველის მიერ მიწოდებული დავალებები;

გ) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მოახდინოს პროგრამული და იუზერ მენეჯმენტის ადმინისტრირება გონივრულ ვადაში;

დ) უზრუნველყოს ტიპური ოპერაციების და აწყობილი ფორმების საჭიროებისამებრ განაწილება, არსებული ანგარიშების (რეპორტების) გაწერა;

ე) უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის მოვლა, ოპტიმიზაცია და მხარდაჭერა;

ვ) უზრუნველყოს პროგრამით განსაზღვრულ მოდულებში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად წინასწარ შეთანხმებულ ვადაში ცვლილების განხორციელება; ამასთან, ზემოაღნიშნული ცვლილებები მოიცავს არსებულ მოდულებში ველების შეცვლას, დამატებითი ველების შექმნას, დამატებითი რეპორტის მომზადებას, მონაცემების იმპორტ-ექსპორტს. ხოლო, ცვლილებები, რომლებიც გამოიწვევს მოდულის გლობალურ შინაარსობრივ ცვლილებას წარმოადგენს დამატებითი შეთანხმების საგანს;

ზ) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები პროგრამის მოდულებთან დაკავშირებით, თვეში არაუმეტეს რვა საათისა;

თ) მომსახურების გაწევის დროებითი შეფერხების შესახებ წინასწარ წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (info@water.gov.ge) 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულთან დაკავშირებით, შეფერხების დროისა და მისი ხანგრძლივობის მითითებით;

ი) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება;

კ) უზრუნველყოს მისი ბრალეულობით შემსყიდველისთვის მიყენებული მატერიალური და არა მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.5 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართული მუშაობა და გახსნილ მომხმარებელზე ინტერნეტ კავშირი;

ბ) საკონტაქტო პირის საშუალებით წერილობით აცნობოს მიმწოდებელს კონკრეტული ადმინისტრირების, მხარდაჭერის თუ მოდულების ფარგლებში შესაძლო ცვლილებებისა და შექმნილი პრობლემების შესახებ;

გ) უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის სამუშაო პირობების შექმნა (ამოცანის დასმა, ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში შეხვედრების ორგანიზება).

7.6 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ომი, კარანტინი, ეპიდემია, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

8.2 მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორისარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

9. პასუხისმგებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრული ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა ირღვევა 20 (ოცი) ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს ამავე მუხლის 9.2 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 ამ პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება გაწეული მომსახურების ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევა არ არის განხორციელებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შემსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურების ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს საჯარიმო თანხებსა და გაწეულ მომსახურებას შორის არსებული სხვაობა შემსყიდველის სასარგებლოდ.

10. კონტროლი (ინსპექტირება)

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია გაწეული მომსახურების ხარისხის, მიწოდების ვადების და სხვა კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) შემსყიდველის მიერ განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

10.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულების კონტროლს ახდენს - **შემსყიდველის შესაბამის მოდულებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;**

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.

11.4 მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.5 შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა ირღვევა 20 (ოცი) ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში;

ვ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

თ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანია შპს „ეფემჯი სოფტის" ერთიანი ფინანსური სააღრიცხვო პროგრამა (ინფო-საწარმო), შეწყვეტის თარიღში არსებული მდგომარეობით და მოდულებით, ასევე, სისტემის პროცედურული ფუნქციონალით რჩება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას".

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული წერილობითი შეთანხმება მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის დროს ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის, ფასების გადასინჯვის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში. ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

12.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.5 ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.6 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დამოწმებულია მატერიალურად ან/და ელექტრონულად ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი.

12.8 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.9 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე (შემსყიდველის ელექტრონული მისამართი: info@water.gov.ge)

12.10 ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი № 1 (მომსახურების ხარჯთაღრიცხვა) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

12.11 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.12 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

შემსყიდველი: შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"	მიმწოდებელი: შპს „ეფემჯი სოფტ“
ნინო ნაროზაშვილი დირექტორის მოადგილე	დავით გოგოჭური დირექტორი

დანართი № 1

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

N	მომსახურების დასახელება	თვეების რაოდენობა	ყოველთვიული ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	პროგრამული უზრუნველყოფის, სისტემის მხარდაჭერის და საკონსულტაციო მომსახურება	11.5	5 079.34	58 412.41
სულ ხელშეკრულების ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით):				58 412.41

შემსყიდველი:
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

ნინო ნაროზაშვილი
დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს „ეფემჯი სოფტ"

David Gogochuri 20001009172
Digitally signed by David Gogochuri
Date: 2024.01.15 21:20:18

დავით გოგოჭური
დირექტორი